წელიწადი მეორე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

მომავალი

აპრილი. 1935 წ. პარიზი.
№ 8

ქართული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“.
L'AVENIR organe de l'organisation des patriotes georgiens "THETHRI GUIORGUI"

AVRIL. 1935 PARIS
№ ჱ

საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო

დღეს მთელი მსოფლიო ისეა ურთიერთ გადაჯაჭვული, რომ ვერც ერთი დიდი სახელმწიფო ველარ სცხოვრობს სრული დამოუკიდებელი პოლიტიკით. ეს განსაკუთრებით ითქმის პატარა ერებზედ, რომელთა ბედი მუდმივად დიდი ქვეყნების ურთიერთობის ფორმებთან იყო დაკავშირებული. არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. მისი დამოუკიდებელი არსებობაც მთლიანად საერთო ვითარებასთან არის გადაბმული. განსაკუთრებით მისი დღევანდელი მდგომარეობა,—მისი განთავისუფლების საკითხი, გარეშე სინამდვილისაკენ იტაცებს ჩვენს ყურადღებას.

ჩვენი ეროვნული თავისუფლების ძირითად ფერმენტად, მის შინაგან ძალას: მის მძლეობას, მის გაუტეხავ ნებისყოფას, მის მთლიანობას, მის მარად თავისუფლებისადმი ლტოლვას სულსა ვსახავთ.

მაგრამ ძლიერი მტრის წინალმდეგ მისი განთავისუფლების აუცილებელი ფაქტორი ყოველთვის საერთაშორისო ხელსაყრელი პირობები ყოფილა. ასე იყო წინად, ასეა დღესაც.

დღეს საქართველო ფაქტიურად ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენს. საკუთარი ძალებით მისი უღლითგან განთავისუფლება ძნელი საქმეა. არც მისი შინაგანი გადატრიალების შემთხვევა გვეუბნება რასმეს. რათგან, შესაძლებელია, რუსეთში შემდეგ შექმნილმა მდგომარეობამ, საქართველოს, დღევანდელი მოჩვენებითი, ნახევრად დამოუკიდებელი სახეც წაართვას. ეს ჩვენ ღრმადა გვწამს. მაშასადამე ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვება, სრულიად რუსეთის იმპერიის დანგრევასთან არის დაკავშირებული. სხვა ყველა გზები, მოჩვენებითი, მოტყუებითი და არა რეალურია.

რუსეთის იმპერიის დანგრევა ორ ძირითად ფაქტორს ექვემდებარება. პირველი, დიდ საერთაშორისო გართულებას, ომს, რევოლუციებს და სხ. მეორე, მის იმპერიის წიაღში მოქცეულ ერთა პოლიტიკური და ეროვნული ცხოვრების ევოლიუციით გამოწვეულ აუცილებლობას. რომ ჩვენთვის ნათელი იყოს ამ პირობათა სისწორე, ამ თვალსაზრისით გავსინჯოთ სინამდვილე. რას გვეუბნება დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ.

ვერსალის ზავის შემდეგ ევროპაში საერთო პოლიტიკის ორი მთავარი მიმართულება შეიქმნა. ერთი დაკავშირებულია გამარჯვებულთა, და უმთავრესად საფრანგეთის ინტერესებთან, მეორე გერმანიის. მაშინ როდესაც დამარცხებული და ძვალ-ტყავ გამძვრალი გერმანია სცდილობს ნელნელა აღსდგეს და ბოლოს ვერსალის ვალდებულებათ თავი დააღწიოს, საფრანგეთის დიპლომატია მთლიანად იქით არის მიმართული, რომ ამ ზავის ყველა პირობები დაცულ იქმნას. შეზღუდოს გერმანიის გაძლიერება და მოსალოდნელი უარყოფანი მის მიერ. გაიჩინოს მოკავშირენი, რათა ზავის დროს საზოგადოებრივი აზრით და ომის დროს შეიარაღებული ძალით დაიცვან მისი ინტერესები. მიუხედავად გერმანიის ყოველმხრივი შევიწროების და ფრანგების ენერგიული მოქმედებისა, დღევანდლამდე მდგომარეობა მაინც ბუნებრივი გზით ვითარდება და გერმანიის სასარგებლოდ მან ისეთი ევოლიუცია განიცადა, რომ მოპირდაპირენი დღეს მხოლოდ თავდაცვითი გრძნობით სულდგმულობენ.

ვის არ ახსოვს ის ამბები, რაც ამ რამდენიმე წლის წინეთ ხდებოდა ომის ვალების გადახდაზედ! დღეს ის ყველას მიერ მივიწყებულია. და განა მარტო ეს! გუშინდელი **სარის** ამბავიც. საფრანგეთს ისიც დაავიწყდა. გერმანია ნელნელა ანვითარებს თავის შინაგან ძალებს, ფეხზედ დგება და დროგამოშვებით პირდაპირი და არაპირდაპირი გზით ებრძვის ვერსალის პოლიტიკას. და ბოლოს ჰიტლერის გამბედაობით ვერსალის ზავს დაუსვა შავი ჯვარი სწორედ იმ ღამეს, როდესაც საფრანგეთის პირველი მინისტრი **ფლანდენი** პალატაში სამხედრო რეორგანიზაციაზედ, სამხედრო მინისტრას პროექტს არდგენდა, და დამთავრდა სავალდებულო მობილიზაციის კანონის გამოცემით. ამას კი მოყვება გერმანიის ლეგალური შეიარაღება. (ჰიტლერი ნორმალურ პირობებში ადგენს 36 დივიზიას). ამგვარად საფრანგეთი და მოკავშირენი რომ მისთვის სამხედრო უფლებრივ თანასწორობას, თხოვნითა და მუდარით არ იმეტებდენ, ჰიტლერმა ის საკუთარის ძალით მოიპოვა.

დანციგის უკანასკნელი არჩევნები გვიჩვენებენ, რომ მისი საქმეც გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდება. და ბოლოს იგივე მოელის საბოლოოდ ავსტრიის „ანშლუსის“ საკითხსაც. დემოკრატიული მეთოდებით, ისე არც ერთი ქვეყნის დემოკრატიას არ უსარგებლია, როგორც ეს ჰქმნა ჰიტლერმა.

ამ ორი მიმართულების გვერდით შეიძლება ევროპაში მესამე მიმართულებაც ვიგულისხმოთ. აქ ლაგდებიან ინტერესები ყველა იმ ქვეყნებისა, რომელთაც ომის შემდეგ მოიპოვეს დამოუკიდებლობა (ბალტიკის, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია და სხ.) ან რაიმე ღრმა ცვლილებანი განიცადეს (ოსმალეთი, იტალია და სხ.) და ახლა სცდილობენ თავიანთი სახელმწიფოებრივი ძლიერება აღადგინონ. ამ ქვეყნების პოლიტიკაც ერთი მხრივ განსაზღვრავს გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის სასწორს, მეორეს მხრით მოხერხებულად სარგებლობს შექმნილი მდგომარეობით და ყოველ ხელსაყრელ პირობებში ერთ თუ მეორე მიმართულებასთან თანაგრძნობა-მომხრეობით თავისი ქვეყნის ბედს ემსახურება. უკანასკნელთა რკალში უნდა მოვაქციოთ დღეს რუსეთიც.

სანამ გერმანია ძალზედ იყო დაცემული და საფრანგეთის უსაზღვრო ზრდა დიდ სახელმწიფოების ინტერესებს არ აკმაყოფილებდა, ინგლისიც და იტალიაც გერმანიას უჭერდენ მხარს. ხოლო როდესაც გერმანია წელში გასწორდა და ავსტრიის დამოუკიდებლობას დაემუქრა, იტალია საფრანგეთს მიუდგა; ინგლისში ხმები გაისმა—ჩვენი სამზღვარი რეინზეაო.

როდესაც ახლად განთავისუფლებული პოლონეთი ფეხზედ დგებოდა, მას სჭირდებოდა ძლიერი ქვეყნის ხელი. ასეთი საფრანგეთი იყო და მანაც უხვად უმასპინძლა პოლონეთს. ხოლო როდესაც საფრანგეთმა პოლონეთს აღმოსავლეთის ლოკარნოს წინადადება მისცა და რუსეთსაც პაქტით შეეკრა, აქ პოლონეთის ინტერესები გაიყარნენ საფრანგეთისგან და გერმანია-პოლონეთის ათი წლით თავდაუსხმელობის პაქტის დადებით გათავდა საქმე.

მაგრამ საფრანგეთი დიპლომატიის კლასიკური ქვეყანაა. ის ყოველთვის ახერხებს სათანადო ძალებთან კავშირის გამონახვას. ვინაითგან დღეს საფრანგეთის პოლიტიკა უფრო თავდაცვითი ფორმების შექმნას ემსახურება, ამიტომ, ბუნებრივია მათი ხმა-მაღლა ყვირილი და ზრუნვაც ზავისათვის. ოღონდ ის ისე უნდა მოხდეს, რომ რაც შეიძლება ზავის ძველი პირობები ძალაში დარჩეს. მაგრამ საქმე იმაშია რომ ზემოაღნიშნულ, გერმანიის საექსპანსიო სულის განვითარებას ვერავითარი ძალა ვერ აჩერებს. ამიტომ რეალურად ფრანგული დიპლომატიისთვის აუცილებელი ხდება, საერთო მდგომარეობის იმგვარად აწყობაზედ ფიქრი, რომ გერმანია, გარეშე ძალთაგან იზოლიაციაში დარჩეს. ან რაც შეიძლება ნაკლები მოკავშირეები ჰყავდეს.

ამ მიმართულებით კე დორსე მილიონებს ხარჯავს და დიდ შედეგებსაც მიაღწია: 1. ბალტიის ქვეყნების 1934 წლის სამთა პაქტი და მათი გერმანული ორიენტაციის გარედ დატოვება. 2. მცირე ანტანტასთან (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, რუმინია) ახლო თანამშრომლობა. 3. ბალკანეთის ანტანტა და მასზედ თავისი გავლენის გავრცელება (რუმინია, იუგოსლავია, საბერძნეთი, ოსმალეთი.*) საფრანგეთს იტალიის მიმართაც ბედმა გაუღიმა. ავსტრიის „ანშლუსის“ საკითხის აქტიურად დაყენებამ, მათ შორის ხიდი გასდო, და უკანასკნელად **ლავალისა** და **მუსოლინის** შორის რომში დადებული პაქტი, წარმოადგენს ერთ ნაწილს საფრანგეთის დიპლომატიური გეგმისა. აფრიკის საკითხი აქ საფრანგეთისთვის მეორე ხარისხოვანი საკითხია.

აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთისა და იტალიის ფრონტითგან (ავსტრიაც იგულისხმება) საფრანგეთი უახლოვდება აღმოსავლეთის პაქტს. მაგრამ აქ მას პირდაპირ გერმანიასთან აქვს საქმე და მიზანი მიუღწეველი რჩება. მას მოსდევს საფრანგეთის მინისტრების ლონდონში მოგზაურობა და ინგლისთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ამას კი უნდა მოჰყვეს ლავალის მოსკოვში გამგზავრება.

ინგლისის მინისტრის ედენის მოგზაურობა პოლონეთშიც უშედეგო აღმოჩნდა. იქაც ისევ ძველ პოზიციაზედ რჩებიან. ამის და მოსკოვის მდგომარეობის გაცნობის შედეგი ხომ არ იყო რომ ინგლისი მომრიგებლის როლში რჩება?!

საფრანგეთის დიპლომატია ამ სახით უკვე ერთ დამთავრებულ შენობას აგებს. მისი საფუძლები საბოლოოდ რამდენად მაგარი გამოდგება, ეს დამოკიდებული იქნება თვით იმ ქვეყნების ინტერესებზედ. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგების კავშირი რუსებთან. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს, ლაპარაკი იმაზედ, თუ ამ მოვლენას რა მნიშვნელობა ექმნება საფრანგეთის ბედისთვის. მას დღეს საფრანგეთის ნაციონალური პრესაც სასტიკად აკრიტიკებს. ჩვენ კი შევეხოთ იმდენად, რამდენადაც ის ჩვენ გვაინტერესებს.

რუსეთთან მეგობრობით საფრანგეთი კარგავს იმ ხალხთა სიმპატიებს, ვისი ინტერესებიც ყოველნაირ შემთხვევაში რუსეთთან დაპირისპირებულნი არიან. მეორე და რაც მთავარია: დღეს რუსეთის შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ როგორც კი გარედ მდგომარეობა გართულდება — შიგნით სამოქალაქო ომია მოსალოდნელი. რათგან ეს იციან ბოლშევიკებმა, შეეცდებიან ომში მონაწილეობაზედ უარი სთქვან, თუ ეს მათზედ იქნება დამოკიდებული. ხოლო თუ მაინც ჩაერნიენ და ჩვენი წინასწარმეტყველებაც აღსრულდა, ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის ახალი მდგომარეობის ბატონები, სრულიად ბუნებრივად ახალ „ბრესტ-ლიტოვსკის“ ზავს ხელს მოაწერენ. სწორედ ისევე, როგორც ოქტომბრის გადატრიალების დროს მოხდა. ამას მოიმკის საფრანგეთი უსათუოდ! დღესაც საფრანგეთისთვის ამ კავშირს უდიდესი მორალური ვნება მოაქვს. და ის ფაქტიც, რომ დღეს საფრანგეთში კომუნისტებისა და სოციალისტების „საერთო ფრონტი“ მოსახლეობას კომუნისტური რევოლიუციით ემუქრება, განა რუსეთთან დაახლოების შედეგი არ არის!..

ასეთია ფრანგული მიმართულების უმთავრესი ძალა, უმთავრესი ძალთა დარაზმულობა.

მეორე მხრით რჩება გერმანია და პოლონეთი. უკანასკნელი თავისმა სასიცოცხლო ინტერესებმა გერმანიასთან დააკავშირა.

მაგრამ დღეს საერთო საკითხები მარტო ევროპით არა წყდება. შორეულ აღმოსავლეთში იაპონია მოხერხებული დიპლომატიითა და ფრთხილად რუსეთს ემუქრება.

მანჯუკოს ოპერაციით არ დამთავრებულა იაპონიის კოლონიალური მისწრაფებანი. დღეს, ყველა ერთხმად ამტკიცებენ იაპონიის გაშლის აუცილებლობას. ამ მისწრაფებამ მისი ინტერესები შეახვედრა გერმანიის ინტერესებთან. ფრანგული პრესა ხშირად აღნიშნავს გერმანია-იაპონიის საიდუმლო კავშირს. ყოველ შემთხვევაში გერმანული სპეციალისტები მუშაობენ იაპონიის ჯარების მოწყობაზედ. ჯერჯერობით ეს მეორე კოალიციაც ასე უნდა წარმოვიდგინოთ.

დარჩა ამერიკა. იაპონიის ექსპანსია ამერიკის ინტერესებსაც გადაელობა. ამიტომ შეერთებულ შტატების მთავრობამ წარსულ წელს დააჩქარა რუსეთის ცნობა და მისი გამაგრება იაპონიის წინალმდეგ. ამ წელს, როგორც ამერიკითგან გვატყობინებენ, შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი სასტიკი წინაღმდეგია ბოლშევიკებთან კარგი განწყობილების. მაგრამ გვგონია, რომ ეს ანტიპატია პოლიტიკურ ინტერესთა საერთო დენას მიმართულებას ვერ შეუცვლის. და თუ ომმა იფეთქა ასე საერთო მაშტაბით, ამერიკის ჩარევას დასაწყისშივე, გამოიწვევს იაპონიის მონაწილეობა. ხოლო თუ იაპონია ევროპელთა ბრძოლაში ნეიტრალური დარჩა, ამერიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაერიოს, თუ ბრძოლის სასწორს გერმანული ფრონტი გადასძლევს. ე. ი. დაახლოვებით იგივე შეიძლება მოხდეს, რაც დიდი ომის დროს. ამას გვეუბნება დღევანდელი ძალთა განწყობილებაც.

მაგრამ როგორია არსებითი ტენდენცია ყველა აღნიშნულ ძალთა ზავის მიმართ.

საფრანგეთი, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებულია ზავის პოლიტიკით, მთელი მისი მოკავშირეებით ამ მიმართულებით მოქმედობას. თითქოს ამასვე ქადაგობენ გერმანიაც, რუსეთიც და სხვებიც. მაგრამ გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები ვერ ჰპოულობენ განხორციელებას ზავის იმ პირობებით, რომელსაც საფრანგეთი და ინგლისი მას უყენებენ. ამიტომ გერმანია იძულებულია სხვა მდგომარეობაზედ იფიქროს. მისთვის ძნელია დღეს ომი, მაგრამ ის მაინც ემზადება. ემზადება დღეს ყველა. განიარაღების კონფერენციების გვერდით აჩქარებული ტემპით, ფარული და ღია შეიარაღება მიმდინარეობს. მუსოლინმა ფაშისტური დროშის ქვეშ, მაღალი დისციპლინით აღჭურვილ 700,000 ხიშტს მოუყარა თავი. წარსული წლის ახალი სამხედრო კანონით მან მთელი იტალიის ერი სამხედრო მოვალეობის ქვეშ დააყენა. ინგლისშიც ამ წელს სამხედრო ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა, რუსეთი 5 მილიონიან არმიას ამზადებს. პარიზის პარლამენტმაც წინა თვეში მიიღო კანონი ახალ გაწვეულთა ვადის გაგრძელების შესახებ, ჯარის რიცხვის გადიდების მიზნით. და ყველა ამათ ამ დღეებში ჰიტლერმაც სავალდებულო გაწვევის ახალი კანონით უპასუხა. მან დაარღვია ვერსალის ზავის მე-5 განყოფილება და შეუდგა 36 დივიზიანი რეგულიარული ჯარის შექმნას. საფრანგეთის პრესაში განგაში ასტყდა, ინგლისმა ბანი მისცა. იტალია უფრო გულცივად შეხვდა, მან ამ აქტში მოულოდნელი ვერაფერი ნახა.

პარიზში ინგლის-საფრანგეთ-იტალიის წარმომადგენლების შეხვედრები ხდება.

ინგლისის მინისტრები **ჯონ სიმონი** და **ედენი** ბერლინში მიეშურებიან. ჰიტლერი მათ იღებს. მოლაპარაკება ორი დღე გრძელდება. ედენი დაღონებული და სიმონი ნაძალადევი ღიმილით გამოდიან კარში. მესამე დღეს ედენი მოსკოვში მიემგზავრება. ჯონ სიმონი ჟურნალისტებს უცხადებს: — ღმერთს სამი

---

*) როდესაც ბალკანეთის პაქტის მოწინაღმდეგე, კრეტის ბელადი **ვენიზელოსი** ათენისკენ მიიწევდა, განა მას შემდეგ არ შედრკა, რაც ეგეის ზღვაზედ ფრანგების ფლოტი გაჩნდა?! და ეს დიდი ამბოხება საბერძნეთისა, დამარცხებული გემის ნამსხვრევებით, ნიმფა კალიპსოს კუნძულზედ, ოდისეს ჩუმი გამგზავრებით დამთავრდა!..

რაციონალიზმის დასასრული

ჩვენ ვცხოვრობთ დიდი მოვლენების ეპოქაში. ადვილი არ არის წინასწარ ითქვას თუ რა ფორმას მიიღებს საბოლოოდ თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობანი. წინად საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლიუცია მიმდინარეობდა მდორეთ, უფრო ჩქარის ტემპით სწარმოებდა გონებრივი განვითარება. ახლა პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას ჩამორჩა გონების „ძლევა-მოსილი მსვლელობა“. ამიტომაა, რომ დღეს, ადამიანს უძნელდება თანამედროვე რთული მოვლენების ათვისება, მისი შემეცნება ველარ წვდება ჭეშმარიტებას, ვინაითგან დასაყრდენი მისი შემეცნებისა არის არა რეალობა, არამედ მისი წარმოდენები და ილუზიები. ამ რიგად გონება შეიქმნა საზომი სინამდვილისა და არა სინამდვილე—გონებისა. აქეთგან, კონფლიქტი ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანის წარმოდგენებს შორის. ამან წარმოშვა დღეს იდეალისტ მოაზროვნეთა პესიმიზმი (რადგან მათი იდეები არ შეესაბამება სინამდვილეს), ისინი დამფრთხალნი და შეშინებულნი სინამდვილის მიერ უიმედობას და სასოწარკვეთილებაში ეძიებენ ხსნას. არ ჰყოფნისთ გამბედაობა პირდაპირ შეხედონ სინამდვილეს. რათგან უკანასკნელი უკარნახებს უარყონ გონების ნაცოდვილარი და თავიანთი შემოქმედება დაიწყონ რეალობის ასახვით.

წინად ნაკლები ყურადღება ექცეოდა ცხოვრების სინამდვილეს და ადამიანი თავის აზროვნებაში უფრო მეტს ადგილს თავისი იდეალების გაფორმებას უთმობდა, ვიდრე რეალობის ათვისებას. რეალობის ალღოს სრული უქონლობა ახასიათებს წინა დროის მოაზრეთ. ისინი შიშით იყვნენ გარემოცულნი და სინამდვილეს თვალს ვერ უსწორებდენ. და თუ ვინმე გაბედავდა და მათ ეტყოდა: არა, თქვენი შეხედულებანი სინამდვილის და ცხოვრების ფაქტების წინაალმდეგიაო; ისინი უპასუხებდენ:—მით უარესი სინამდვილისა და ფაქტებისათვისო. ხოლო სინამდვილეზე გაბატონებული გონება, მას ისეთ ფორმას აძლევდა, როგორიც მისთვის სასურველი იყო. რითაც სინამდვილეს ამახინჯებდა.

ხანა, გონების უსაზღვრო ბატონობისა, რაციონალიზმის ხანადაა ცნობილი საზოგადოებრივ აზრის განვითარების ისტორიაში. ეს ხანა დაიწყო მე-18 საუკუნეში, მე-19 საუკ. მან თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია; მე-20 საუკ. კი მისი დაქვეითების და დაცემის ხანაა.

რაციონალიზმის დამახასიათებელი იყო რეალობის მიღება, იდეების სამყაროს შექმნა. ფილოსოფიაში და აზროვნების ყოველ დარგში იდეათა სისტემები ჩამოყალიბდა, რომლითაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ყოველი მოაზროვნე ცდილობდა თავისი საკუთარი სისტემებისთვის დაემორჩილებია ესა თუ ის მოვლენა და ამ მოვლენათა ამოსაცნობად მისი გონება გაეხადა უმაღლეს მსაჯულად. ყოველი მათგანი იფლობოდა თავის სისტემებში და მას აცხადებდა ჭეშმარიტებად.

განუსაზღვრელი იყო აგრეთვე ისტორიისა და საზოგადოებათა მეცნიერებაში მიდრეკილება დოქტრინებისა და თეორიებისადმი ყოველგვარს ცდების გარეშე, ვინაიდგან არავითარი ცდები არ არის შესაძლებელი სოციალურსა, პოლიტიკურსა და ეკონომიურს მოვლენების შესწავლისათვის.

რაციონალიზმი არა იყო რა, გარდა კრიტიკისა. ყველამ ისწავლა წერა, კითხვა და მიითვისა უფლება განსჯისა. ყველა კონცეპციები ჭარბად აღვსილია ამ სულიერი განწყობილებით. ის აკრიტიკებს ყველას და ყველაფერს. მას არაფერი არ სწამს, მას არაფერი არ უნდა. „ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ უკეთესი, დავაფუძნოთ საუცხოო პროგრამა იდეალური საზოგადოებისა“.—მეტი არაფერი, ამას უწოდებდენ „კაცობრიობის პროგრესს“. ვინც დაეჭვდებოდა ამაში, ის იყო რეაქციონერი, ერეტიკი, დემოკრატიულს სიკეთეს მოკლებული, მაშასადამე ბრძოლა მას!

გასული ორი საუკუნის განმავლობაში კრიტიკა რაციონალიზმის მძლავრი იარაღი გახდა, მაგრამ კრიტიკა, ყოველგვარს შემოქმედებას მოკლებული. ის ყველაფერს შლიდა და ანგრევდა, იწუნებდა, არ შეეძლო არც განაყოფიერება და არც ქმნადობა. ამიტომ იყო მისი შემოქმედება ყოველგვარ ხელოვნებას და სიცოცხლეს მოკლებული. როგორც კი შეეხებოდა ცხოვრების სინამდვილეს არარად იქცეოდა. ყველა ეს სისტემები დაბადებული ადამიანის გონებიდან, ვერ ხარობდა გარეშე წიგნებისა.

რაციონალიზმის ხანა დაიწყო რუსოთი და კანტით. შემდეგ მათ მიემატა მეცნიერებათა აღმოჩენანი ფიზიკისა და ბიოლოგიისა, აგრეთვე დარვინიზმი, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია და მარქს-ენგელსის ისტორიული მატერიალიზმი. ამ რიგად წარმოიშვა ვრცელი ლიტერატურა, დამუშავდა თეზისები და პროგრამები პოლიტიკური პარტიებისა.

შემდეგ (შიგადაშიგ) რაციონალიზმი გაიყო ორ დიდ ბანაკად—იდეალიზმი და მატერიალიზმი. ესენი კი თავისთავად დანაწილდენ კიდევ მრავალი შტოებად. მოხდა გონებრივი სამყაროს სრული აფორიაქება: განირღვა წმინდა გონების მტკიცე ზღუდენი, დაიშალა სისტემები, აირია მონასტერი, ზოგი ალთას, ზოგი ბალთას...

ერთის შეხედვით იდეალიზმი და მატერიალიზმი ერთი-მეორის საწინააღმდეგო მსოფმხედველობაა, ჩვენის გაგებით კი ერთი და იგივეა, რადგან ორთავეს საფუძველი რაციონალიზმია. ორივენი მცდარია, ვინაიდგან ორთავენი გონების თავისუფალი შემოქმედებაა. ამ რიგად მატერიალიზმი, ისე როგორც იდეალიზმი წმინდა რაციონალისტური კონცეპციაა, რეალურ აზრს მოკლებული, ურთიერთან მჭიდროთ დაკავშირებულნი. მეტად ძნელია ვიპოვოთ სხვა რაიმე არსებითი განსხვავება მათ შორის.

რაციონალიზმმა ამ ორი საუკუნის განმავლობაში თავისუფლად ინავარდა, მან დაავადებამდის მიიყვანა თანამედროვე საზოგადოება, და თუ ჩვენ თანამედროვენი ხშირად განვიცდით მის მძიმე შედეგებს, უკეთესი მომავლისთვის მე-20 საუკ. უნდა განთავისუფლდეს რაციონალიზმის ბატონობისაგან, უნდა სავსებით გაიმიჯნოს მისი თეორიებისა და დოქტრინებისაგან. ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი და სხ. უფრო მორალურ სისუსტის ნაყოფია, გონების ნაცოდვილარი, ვიდრე ჯანსაღ სინამდვილის ასახვანი. მან მოგვცა პიროვნების თვითნებობა, ეგოიზმი და უდისციპლინობა, მან დაშალა და გახრწნა საზოგადოება, შეასუსტა ზნეობა და მოვალეობის გრძნობა და სიძულვილი გაამეფა ყველგან.

რაციონალიზმი დღეს ამოთხრილი და ფესვებ ამოგდებულია, და თავის აღსასრულს უახლოვდება. ქართველი ერიც ხანგრძლივად ემონა მის მავნებლობას, დროა ჩვენც განვთავისუფლდეთ რაციონალიზმის უმწეობისა და უილაჯობისაგან და დაუბრუნდეთ ქართული სინამდვილის ანკარა სათავეებს. **ხ. ჭირაქაძე**.

დღე დასჭირდა ქვეყნის გაჩენისთვის, ჩვენ კი ორი დღე ვიყავით ბერლინში.

ჰიტლერი მოითხოვს:

1. გერმანია შეზღუდავს შეიარაღებას და შევა ერთა ლიგაში თუ მის უფლებრივ თანასწორობას იცნობენ.
2. ის მზად არის მოაწეროს ხელი თავდაუსხმელობის პაქტზედ, ოღონდ უარს ამბობს აღმოსავლეთის პაქტზედ, რომელიც წევრად რუსეთსაც გულისხმობს.
3. ავსტრიისთვის მოითხოვს თავისუფალ პლებისციტს.

აგრეთვე იგულისხმება, რომ ერთა ლიგაში შესვლის შემდეგ, გერმანია მოითხოვს ლიგის პაქტის რეფორმას, მის დამოუკიდებლობას ვერსალის ხელშეკრულებითგან.

შესრულებული იქმნება ჰიტლერის მოთხოვნილებანი?

ეს უმთავრესად საფრანგეთზედ არის დამოკიდებული. მაგრამ აქ ამის ნიშნებს ვერა ვხედავთ. საფრანგეთისთვის გერმანიის უფლებრივი თანასწორობის ცნობა იქნებოდა, გერმანიის უკანასკნელად გადადგმული ნაბიჯის დადასტურება. ე. ი. ვერსალის ზავის გაუქმების ცნობა. ავსტრიის პლებისციტის საკითხი საფრანგეთთან ერთად იტალიასაც არაფრად მოეწონება, რათგან ავსტრიის პლებისციტითგან საარისებური შედეგია მოსალოდნელი. არც აღმოსავლეთის პაქტის შესახებ სჩანს, რუსეთის იზოლიაციით საქმისადმი კომპრომისი. რათგან ერთი ვიცით, რომ ამ დღეებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავალიც მოსკოვში მიემგზავრება.

ამგვარად სამშვიდობო პოლიტიკის გასანაღდებელ ფაქტებს ჯერ ვერა ვხედავთ.

ღირს თუ არა მდგომარეობას ჯერ დასკვნა გავუკეთოთ? ნუ ავჩქარდებით... თუმცა ზავს ხანგრძლივი არსებობის ნიშნები არ უჩანს და მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება.

რა მოხდება სტრეზის კონფერენციაზე? აქ იტალიისა და ინგლისის აზრები განსხვავდებიან. პრესის ცნობით მუსოლინი აღნიშნულ კონფერენციას იჩნევს მოქმედების დასაწყისად. რას ნიშნავს ეს მოქმედება, ამასაც ახლო მომავალში შევიტყობთ.

ყველასათვის სატრფიალო ზავი, დღეს ჩვენი ქვეყნის ინტერესისათვის მეორე რიგში დგება. რათგან ვფიქრობთ. რომ საქართველოს საკითხი მხოლოდ საერთაშორისო გართულების ხანაში უნდა დადგეს. მშვიდობიანობის დროს ჩვენი საკითხი ვერ გადაწყდება.

ვისთან ვიქნებით ჩვენ, თუ დადგა აღნიშნული მომენტი? მასთან, ვინც რუსეთის წინაღმდეგი იქნება.

საერთაშორისო გართულების დროს რუსეთში შინაგანი ანარქია დაიწყება. მას მოყვება იმპერიის რღვევა. ის მაშინაც უნდა გაინგრეს, თუნდაც მისმა მოკავშირეებმა გაიმარჯვონ. ე. ი. ახლაც დაახლოებით დიდი ომის შემდეგი ამბავი შეიძლება განმეორდეს.

რა მოელით იმპერიაში შემავალ ერებს? პირველი რევოლიუციის შემდეგ რომ ზოგმა მათგანმა თავისუფლება დაკარგა, ამას ხელს უწყობდა ორი გარემოება: რომ მათი თავისუფლებით დაინტერესებული გერმანია დაეცა, და მერე, მათი ეროვნული შეგნება და რაც მთავარია, დარაზმულობა სათანადო სიმაღლეზედ ვერ იდგა.

დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს დღეს უფრო დიდი სულიერი და მორალური ძალა აქვთ, ვიდრე თვით რუსეთს. რევოლიუციის შემდეგ ბოლშევიკების რეპრესიამ ისინი სულიერად გაამაგრა. ისინი ორგანიზაციულად დარაზმა და ეროვნულ მოძრაობათ უკვე ღრმა შინაარსი მისცა. გარედაც, კავკასიის, თურქესტანის, უკრაინის და სხ. საკითხებიც ფრიად პოპულიარული გახდენ. მათ ევროპაში ჰყავთ მრავალი მეგობრები და დამცველები და საკმარისია მათ კიდევ ერთხელ ფაქტიური უფლება მოიპოვონ თავიანთ მიწა-წყალზედ, რომ მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ მათ სასარგებლოდ ხმა აღიმაღლოს.

ახალი ომის ხანა იქნება რუსეთის იმპერიალიზმის აღსასრულის დრო. დიდმა ომმა გადაყლაპა ოსმალეთის, ავსტრიის და ნაწილობრივ რუსეთის იმპერიები. დაამხო მთელი წყება მონარქიების. განთავისუფლდენ მრავალი ერები და ყველა მათგანი საკუთარ თავს უძღვება.

რუსეთი საბოლოოდ უნდა დაინგრეს. ეს აუცილებლობა მრავალი ფაქტორებით არის ნაკარნახევი. საზოგადოებრივი განვითარების ამ ძირითად კანონს ვერც ერთი დროისა და ქვეყნის იმპერია ვერ ასცდენია. ასე დაემართება რუსეთის იმპერიასაც, და მის უღლის ქვეშ მყოფი ჩაგრული ერები განთავისუფლდებიან.

ამ დროს მოხდება საქართველოს განთავისფლებაც. ქართველმა ერმა, ათასეული წლების გამოცდილებასთან, ბოლშევიკების ბატონობაც განიცადა. მის წინაღმდეგ ბრძოლას ათასები შესწირა. რამდენიმე აჯანყება მოაწყო. უდიდესის სიამაყით გაიღო თავი საუკეთესო შვილთა მსხვერპლი. უანგაროდ დაღვარა სისხლი და კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ მის არსებობას ვერავითარი ძალა ვერ წაშლის ქვეყნიერებითგან.

მე-19 საუკუნე იყო ეროვნული მოძრაობის ეპოქა. მე-20 საუკუნე იქმნება თავისუფალ ერთა აღორძინების ხანა. და ამ ხანგრძლივი ტყვეობისა და ბრძოლებითგან გამოსული გამარჯვებული საქართველოც, თავისუფალი პოლიტიკურად, თავისი სვე-ბედის განმგებელი, შეკავშირებული თავის მეზობელ კავკასიელ ერებთან. ამავე საუკუნეში უნდა ეზიაროს თამარ-დავითის საქართველოს დიდების მზეს.

„ბულბული ვარდზედ იჯდა და ბოლოს არიდებდაო“.

გვეუწყა რომ ბ. ნოზაძე თავის ჯგუფის ზოგი წევრებით ლ. კერესელიძესთან მისულა. ალბად „საჩექმე“ ძღვნად დასჭირდა, რომ ორიოდე ძვირი სიტყვა ჩვენს ორგანოს შემოსთავაზა. „ორნატის“ ბელადს ვ. ნოზაძეს უზნეობის მხილება უფრო უწესოებად და „აღსაშფოთებლად“ მიაჩნია, ვიდრე მისი ჩადენა და რაც უარესია, დღეს ამ უზნეობის ავტორთან ჩამძახლება! მაგრამ, როცა ბ. ვ. ნოზაძე იმ სტრიქონებს ბეჭდავდა „ორნატში“, რატომ არ გაახსენდა, რომ ჩვენს გაზეთში ერთ მსგავს წერილს იმავე თავისი მარჯვენა ხელის თითებით დიდის სიამოვნებით აწყობდა და იმავე დროს თავის ორგანოში გაზ. „თ. გ.“-საც საკმარისად ლანძღავდა! ეს კია ზნეობა და ქართველ მოღვაწის ტრადიცია ბ. ვიქტორ! ნუ თუ ის არის ზნეობრივი, რომ მაინც და მაინც ახალი მოყვარის ხათრისათვის სხვები ლანძღოთ! ასეთია თქვენი ზნეობის საზომი?! მაგრამ თავი დავანებოთ ამას, კაცია და გუნებაო, საზოგადოებისთვის თუ რა ღირებულება ექნება თქვენს „ზნეობრივ ნორმებს“, ეს, საკმარისია თქვენი შემდეგი მოქმედებიდან დაასკვნან.

ბ. ვ. ნოზაძე 20 წელიწადი მარქსის კაპიტალზედ ლოცულობდა. ბოლოს როცა მარქსსცა და სოციალიზმსაც ქვეყანა თავზედ დაექცად, ნოზაძემ მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა და მიხვდა, რომ საჭირო იყო მისი უარყოფა. მერე როგორ იცით? თქვენ ეი! ყველა ჩამომეცალენით! ნაციონალისტები, ფაშისტი თქვენ კი არა ხართ, მე ვარ. (თუმცა არც ფაშიზმი მრწამს და არც სხვა დოქტრინები!) მაგრამ ბ. ვ. ნოზაძეს ორმოცეული დათვლილი აქვს და მალე მიხვდა, რომ ახალი სიტყვაც ნათქვამი იყო და უფრო უკეთესადაც. მაგრამ რაღა ქნას. საჭიროა სხვა „ახალის“ მონახვა, მას მაინცდა-მაინც 20 წლის სოციალისტური მოღვაწეობის შემდეგ „ახალის“ მესიტყვეობა უნდა! ახალი პოლიტიკური მიმართულების შექმნა შეუძლებელია, ყველაფერი არსებობს. ეს „ახალის“ სურვილი რით დაიკმაყოფილოს, მოდი ბიჭო ახალ რასმეს მოვიგონებ, და ეს იქნება „ახალი“ და მეც მისი ავტორი. და აი, ერთ დღეს, ორნატის ჯგუფში, მოხსენება წარადგინა, რითაც მოითხოვა მის ორგანიზაციას მიეღო მონარქიის პრინციპი. ჯგუფის უმრავლესობამ, რომ ეს გაიგო, ცხადია წინააღუდგა. ახლა რაღა ქნას, აქაც აღარა გამოვიდა რა. ცოტა ხანს დაგვიღონდა, ბედზედ სწორედ ამ დროს, მოევლინა ქართველ კოლონიას ჩვენი Charles Maurras-ის (შ. ამირაჯიბის) ნახევრად საიდუმლო მონარქიული წრე **„ქართული დარბაზი“**-ს სახელწოდებით. როდესაც ბ. შალვამ ნოზაძის ბედუკუღმართობა გაიგო, ადგა და მიაკითხა. ფერი-ფერსაო მადლი ღმერთსაო. ამგვარად ორი ლიდერი მზათ არის. დაგვრჩენია მეფის კანდიდატი და საქართველოში მონარქია აღდგენილია! ეს ამბავი წააგავს იმ არაკს, მეგრელმა, რომ ერთი ნალი იპოვნა და თავი მხედრად წარმოიდგინა. მაგრამ შეხედეთ ბედის უკუღმართობას! დღეს ევროპაში დიდს ფილოსოფოსებს უჭირთ მონარქიის პრინციპების დაცვა და ჩვენმა ახალი მესიტყვეებმა მალე იგრძნეს, რომ ქართულ მონარქიაზედ ერთბაშად გამოსვლა ხალხური ლექსებით და ქართლის ცხოვრებითგან ამონაწერებით ძნელი საქმე იყო! მაშ რა ვქნათ? ისევ სჯობს რაიმე ორგანიზაცია მოვნახოთ, იქ შევაფაროთ თავი და ნახევრად ბუნდოვანი პროპაგანდა გავსწიოთ. ასეთი ორგანიზაცია სად არის? და ამ ძებნის დროს ისინი წააწყდნენ ბ. ლ. კერესელიძეს. ამ გზამ ისინი შესაფერ ბინაზედ მიიყვანა.

ბ. ნოზაძის მეტამორფოზა შემდეგ ფორმულაში გამოიხატება: მარქსიზმი, ორნატი,პაქტები, „ქართული დარბაზი“ და ლეო კერესელიძე (ამით კი გათავდება!?). მართლაც ადამიანს მაგარი მუხლი უნდა ჰქონდეს, რომ მარქსიზმიდან რვა თვის განმავლობაში მონარქიამდე გადახტეს!

ამით ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვაჩვენოთ მკითხველს, თუ რამდენად გამოსადეგია ასეთი ხალხის ლაპარაკი, ჩვენს ტრადიციაზედ, მით უმეტეს ზნეობის გაკვეთილებზედ! სწორედ, რომ ბ. ვ. ნოზაძე ახლა შევიდა ლეო კერესელიძის ზნეობის აკადემიაში და იქიდანაც, რომ დოქტორის ტიტულით გამოვა, მაშინ, რაღა უფლება გვაქვს არ დაუჯეროთ, მაშინ მისი ხმალი ჩვენი კისერი!

საერთოდ რა გვეთქმის ამ მონარქიული ბლოკზედ! რეგვენი უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩვენ მეფეების მაღალი დამსახურება ერის წინაშე არ იცნას, რომელთა უმრავლესობა იმავე დროს ეროვნული გმირები იყვნენ. მხოლოდ გიმნაზიის მოწაფეს სჭირდება ამ აზრის დასამტკიცებლად ხალხური ლექსები მოიშველოს.

მაშინ, როდესაც ერი სისხლიდან იცლება და ჩვენი დაშლილობა ისედაც უკიდურესობამდეა მისული; კვლავ ახლა ამას მონარქია დაუმატეთ, მას უთუოდ დინასტიური ბრძოლაც მოჰყვება. და ასე მოილხინე საქართველოვ!.. სწორედ ასეთ ადამიანებზედ თქმულა: „თათარ კაცს თავსა სჭრიდნენ და ბოლო „ნახვამდის“ ეუბნებოდაო

ვიქ. ინაშვილი.

ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკული დებულებანი

(დასაწყისი იხ. „მომავალი“-ს № 7).

V.

სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია.

გამოვდივართ რა ეროვნული პრინციპითგან, ვარჩევთ სახელმწიფოს ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომელშიაც მაქსიმალურ გამომჟღავნებას ჰპოებენ საერთო ინტერესები.

1. სახელმწიფოს ფორმის საკითხი, ჩვენთვის, (ისე, როგორც თანამედროვე ევროპის ყველა წრეებში) დავის საგანს არ წარმოადგენს. ის არის დროისა და ეროვნული ნების მოთხოვნილების საკითხი. იმ პერიოდისათვის, რომლისათვისაც მოწოდებულია ჩვენი თაობა ემსახუროს ერს, **ჩვენ აღვიარებთ ეროვნულ რესპუბლიკას,** როგორც ეროვნული ნება-სურვილების სრულ ინკარნაციას.

ქართული სახელმწიფო უნდა იყოს ავტორიტეტული და მთავრობა პასუხისმგებელი. კონსტიტუციით წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული ომიანობისა და სხვა, ქვეყნისთვის სახიფათო შემთხვევების დროს აბსოლიუტური ხელისუფლების გამოცხადება. მას გამოაცხადებს მთავრობის თავმჯდომარე და გაუზიარებს ეროვნული ჯარების მხედართ-მთავარს. მთელი ერი მათ უნდა ემორჩილებოდეს ზავამდე უსიტყვოდ.

2. ჩვენ უარვჰყოფთ დემოკრატიულ პარლამენტს, რომელიც არსებითად პარტიათა ქიშპობის სარბიელს წარმოადგენს. მომხრე ვართ პალრამენტის, მხოლოდ ის იქნება განახლებული ფორმით. თავითგან ვიცილებთ ევროპითგან მისი ასპროცენტიანი ყალიბით გადმოტანილ ფორმას. მას ვუგუებთ თანამედროვე ეკონომიური და სოციალური ცხოვრების სინამდვილეს ჩვენი ერისა, და ისტორიულ ტრადიციულ „დარბაზს“. ცხადია, ჩვენ ვისარგებლებთ ყველა იმ გამოცდილებით, რაც ევროპაში სამასი წლის პარლამენტარულმა ეპოქამ დაიმუშავა და რასაც დღეს სრულებით ახალი სახით აყალიბებს.

საქართველოს მომავალ პარლამენტს ისტორიულივე სახელი „დარბაზი“ უნდა დაერქვას.

ქართული ისტორიული უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების შესწავლა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულის, მისი გენეზისის და გარდაუვალი ხასიათების გამორკვევა ახალი „დარბაზის“ მასთან დაკავშირებისათვის, არის საგანი სპეციალური შრომისა და საქმე სპეციალისტებისა.

3. უარვჰყოფთ საყოველთაო არჩევნების სისტემას, რომელიც, როგორც გამომჟღავნებელი ე. წ. ეროვნული ნებისყოფისა, არის ფიქცია. ის არ არის დაკავშირებული ერის რეალ ინტერესებთან. მისი შინაარსი აბსტრაქტიულია—ფორმა მოჩვენებითი. ის მისი პრეტენზიის მაგიერ პირდაპირ ლახავს საერთო ეროვნულ ნებას და ხდება იარაღად მომქმედ პარტიათა ინტერესებისა. **ვიღებთ პროფესიონალური წარმომადგენლობის სისტემას. როგორც რეალურ ფენომენს, ერის რეალ ინტერესთა წარმომადგენლობისა.**

დარბაზი ერთიანი თუ ორ პალატიანი. დღეს არსებობს ერთიანი პარლამენტები. ჩვენ ამ საკითხს ვტოვებთ ღიად. შეიძლება საჭირო გახდეს ორიანი. ეს საკითხი დაკავშირებული იქნება სახელმწიფოს ადმინისტრატიულ უფლებრივ მექანიზმზედაც. თუ საჭირო გახდა ფართო დეცენტრალიზაცია—საჭირო იქმნება ერთის მხრივ პროვინციათა განსაზღვრული ოდენობის წარმომადგენლობა, და მეორე, საყოველთაო პროფესიონალური. „დარბაზში“ პირველნი წარმოადგენენ მთელი ერის ცალკე ეთნიურ ერთეულებს თანასწორი უფლებებით, მეორენი მთელ ერს მისი ეკონომიური და კულტურული ცხოვრებით.

4. რეჟიმი ცენტრალისტური თუ დეცენტრალისტური?! არსებობს ერთი პრინციპი. ორივე ფორმა შეიძლება იყოს მისაღებიც და მიუღებელიც.

ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ეროვნული მთლიანობის იდეა მის მთავარ შემეცნებას არ წარმოადგენს, სადაც ჯერ კიდევ ეროვნული სოლიდარობის გრძნობა სუსტია და სჭარბობს პარტიკულიარული, კუთხურ, ტომური მიდრეკილებანი—იქ აუცილებელია ცენტრალისტური რეჟიმი. ასეთ შემთხვევაში, დეცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს მხოლოდ გამთიშავ და ცენტრითგან მსრბოლ ძალთა განვითარებას და სახელმწიფოს ძლიერების დაცემას.

ისეთი ქვეყნებში, სადაც ეროვნული შეგნება ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს, სადაც კერძო სურვილები და მისწრაფებანი სავსებით დამორჩილებულია ერთი მთლიანი ეროვნული ნება-მისწრაფებისადმი—ცენტრალისტური რეჟიმი არის შემაფერხებელი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის. ეს ვნება მით ძლიერია, რამდენადაც ქვეყანა ეთნიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. დაბოლოს ის სახიფათოა პოლიტიკურად და ომიანობის შემთხვევებშიც, რათგან ცენტრალისტური რეჟიმის დროს, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, ადგილობრივი ინიციატივა კვდება. იქმნება კულტურული და ეკონომიური ცენტრალიზაციის ტენდენცია და ხშირად უცხო მტრის მიერ მთავარი ცენტრის დაპყრობით სწყდება ხოლმე ბედი მთელი ქვეყნისა. ასეთ ქვეყნებში აუცილებელია ფართო დეცენტრალიზაცია.

რომელ ამ კათეგორიათაგანს ეკუთვნის საქართველო?

ამაზედ ჩვენ გვაქვს ჩვენი გარკვეული შეხედულება. მაგრამ ვინაითგან ეს საკითხი, როგორც მეცნიერული, ისე თვით პოლიტიკური წრეებისათვისაც კი შესწავლილი არ არის, მას ვსტოვებთ ღიად და სადისკუსიოდ. შევეცდებით, ის მომავალში კომპეტენტურ ქართულ მეცნიერულ წრეებთან გადავსწყვიტოთ.

5. **ჯარი.** ქართული ჯარი უნდა შეადგენდეს ერთ მთლიან და განუყოფელს ეროვნულ ლაშქარს. ეროვნული ჯარის შექმნას ქართულმა სახელმწიფომ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს, რათგან ყოველთვის და დღეს უფრო ჩვენი დამცველი, მხოლოდ ჩვენი საკუთარი მარჯვენაა. სახელმწიფომ არაფერი არ უნდა დაზოგოს მისთვის. მას უნდა შუქმნას ისეთი პირობები, რომ საქვეყნოდ ცნობილი, შეუდარებელი ნიჭი და გენია ქართველი ერისა მის მხედართა მწყობრში განსახიერდეს. ქართველ ჯარში: გაწვრთნით, აღზრდით, პატივისცემით, უფროს უნცროს შორის მამაშვილური დამოკიდებულობით უნდა აღვზარდოთ შეუდრეკლობა, მხნეობა, მამულის სიყვარული, თავდადება და შევქმნათ უძლეველი ძალა. გამოვაღვიძოთ მასში გაუტეხავი ისტორიული სული და სამშობლოს დაცვის საქმე ჩავაბაროთ.

ყველაზე ადრე ქართულმა სახელმწიფომ სამხედრო საჭიროებისათვის უნდა იზრუნოს. სათანადო მომარაგება: სანოვაგის, ტანსაცმელის, საჭურველის; მოაწყოს კარგი ჯიშის მოსაშენებელი ცხენის ქარხნები და სხ. ახალგაზრდა მხედრობისათვის გახსნას სამხედრო სკოლები. სამხედრო სული უნდა ტრიალებდეს ქართულ სკოლაშიც. ჯერ დაბალ და საშუალო სასწავლებლებშივე ქართველი მოზარდი თაობა უნდა მისდევდეს სისტემატიურად სავალდებულო ფიზიკურ ვარჯიშობას, და ეჩვეოდეს სამხედრო საქმიანობის სიყვარულს.

უნივერსიტეტში ხომ პირდაპირ სამხედრო წვრთნა უნდა იყოს შემოღებული, თეორიათა და პრაქტიკით. უნივერსიტეტ დამთავრებული ქართველი მოქალაქე ყოველთვის მზად უნდა იყოს, ამა თუ იმ სამხედრო წამოწყების, რომელიმე დამოუკიდებელი ერთეულის ხელმძღვანელობა შეასრულოს.

იგივე უნდა გავრცელდეს იმ ახალგაზრდებზედ, ვინც სკოლის გარედ არიან დარჩენილი. მათთვის სათანადო ორგანიზაციები შეიქმნება თვით მათი შრომის დაწესებულებებთან. სამხედრო ვარჯიშობა სავალდებულო უნდა გავხადოთ პერიოდულად მთელი მოსახლეობის მაშტაბით.

მშვიდობიანობის დროს განსაზღვრული რიცხვის ქართული ჯარს ზურგში უნდა ჰყავდეს გაწვრთნილი, მომზადებული ახალგაზრდობაც და ძველი გაზრდობაც. რათა რა ჟამს გავარდება თოფის ხმა და გაისმის ხმა მხედართ-მთავრის: „ქუდზე კაცი“, ამ ისტორიულ დაძახებას, მთელმა ერმა ისტორიული თავდადებით უპასუხოს.

ყოველი ქართველი მხედარი უნდა იყოს. ისე იყო წინათ, ასე უნდა იყოს მომავალშიც. **ეს უნდა ვქმნათ აუცილებლად, თუ გვსურს საქართველოს თავისუფლების შენარჩუნება და მისი ბედნიერება.**

6. **სკოლა.** ქართული სკოლა უნდა იყოს გაგრძელება ქართული ოჯახის—გზა ქართული სახელმწიფოსკენ. სკოლა სავსებით ეროვნული სულის მატარებელი უნდა იყოს და მისი შინაარსით სახელმწიფოს მოთხოვნილებებს ემსახურებოდეს. მთავრობის დახმარებით უნდა შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი და აღმზრდელობითი საპროპაგანდო დაწესებულებანი. ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენი სახელოვანი წარსულის შესწავლას, მის გამოცემას და მთელი ერისადმი ხელმისაწდომი პირობების შექმნას. უნდა გამოცემულ იქმნას ყველა მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერები დიდი სპეციალისტების რედაქტორობით; ნიმუშები ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის. უნდა მოხდეს ერთი მთლიანი აკადემიური გამოცემა მთელი ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის. უნდა შედგენილ იქმნას ვრცელი ქართული ენის ლექსიკონი უნდა დაარსებულ იქმნას ქართული სამეცნიერო აკადემია და კავკასოლოგიის სპეციალური უნივერსიტეტი. და ერთ დღეს ქართველ მეცნიერთა და შემოქმედთა დაუშრეტელი ენერგიით საქართველო უნდა გადაიქცეს ახალი აღმოსავლეთის ახალი ცივილიზაციის შესავალ კარებად.

7. **ეკლესია.** ქართული ეკლესია, რომელიც ისტორიულადვე იყო ეროვნული მეობის დარაჯი—დღეს შეურაცყოფილია. ქართველი სამღვდელოება, რომელიც ერთ ხელში ჯვარით და მეორეში ხმლით მედგრად იცავდა სამშობლოს 15 საუკუნის განმავლობაში—დღეს დევნილია. ჩვენი ეროვნული მოვალეობაა: ქართულ ეკლესიას მისი პატივი და სამღვდელოებას მისი ადგილი მოუპოვოთ ერში.

ჩვენ ვაცხადებთ რწმენის სრულ თავისუფლებას. ქართველი ერი მიმდევარია ორი სარწმუნოების, ქრისტიანობისა და მაჰმადიანურის. ეროვნული კეთილდღეობა მოითხოვს, საუკუნეებით ჩვენგან სარწმუნოებითაც და ეროვნული გრძნობითაც მოწყვეტილ ჩვენს ძმებს, ქართველ მაჰმადიანებს, თავისუფალ საქართველოში ხელი გავუწოდოთ და საერთო ოჯახში მათი ღირსეული ადგილი დავუთმოთ. ჩვენ სარწმუნოების დარგშიც ვრჩებით მემკვიდრეებად ჩვენი ისტორიული ტრადიციებისა. ქართული სახელმწიფოს მიერ ქართველი მაჰმადიანები მათი რელიგიური დაწესებულებებით, ისევე უნდა იყვნენ პატივცემულნი, როგორც ყველა ქრისტიანები. ეროვნულ მთლიანობასთან ერთად მხოლოდ ასეთი სარწმუნოებრივი სოლიდარობა მოგვცემს ნებას, აღვადგინოთ ისტორიული მთლიანი და უძლეველი საქართველო.

ქართული ეკლესია კიდევ ერთხელ უნდა გადაიქცეს მოსახლეობის ეროვნულ და მორალური აღზრდის მთავარ ფაქტორად.

მთავრობა არ ჩაერევა ეკლესიის შინაურ საქმეებში. ისე როგორც ეკლესია დაცილებული იქნება ოფიციალურ პოლიტიკას.

ქართული ეკლესია, მიუხედავად აღიარებითი განსხვავებისა, სულიერად, მორალურად და კულტურულად ერსა და სამშობლოს უნდა ემსახუროს.

VI.

სახალხო განათლება და ეროვნული აღზრდა.

აღზრდის პრინციპები, ყოველთვის, საერთო ადამიანურთან, ეროვნულიც იყო. სახალხო განათლების სისტემები ყველგან ერისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებებით განისაზღვრებოდენ. ქართველ ერის ეროვნული მოთხოვნილებაა: ქართველ ადამიანში აღზარდოს ქართველი პატრიოტი. ქართული სახელმწიფოს მოთხოვნილებაა, ქართველში აღზარდოს მისი ჭეშმარიტი დამცველი. ქართული ცხოვრება მოითხოვს ქართველში აღიზარდოს შრომის მოყვარე, მუყაითი, გამტანი, ამტანი და კულტურული მოქალაქე. ეროვნული განვითარება მოითხოვს ქართველი იყოს ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი. ქართველი უნდა იყოს ამაღლებული მორალურად და ესტეტიურადაც. ამ მოთხოვნილებათა საფუძვლებზედ იქნება აგებული ჩვენი სახალხო განათლების სისტემა.

1. **ეროვნული აღზრდა.** ქართველი ბავში უწინარეს ყოვლისა უნდა იქცეს ქართველ მოქალაქედ. მამულისადმი სიყვარულის გრძნობა მას უნდა უნერგებოდეს აკვნითგანვე, შემდეგ სკოლა კი უნდა აგრძელებდეს და ანვითარებდეს. ეროვნული აღზრდის რკალი უნდა იწყებოდეს ოჯახით და თავდებოდეს სახელმწიფოთი. როდესაც ბავში სკოლაში გადადის, ოჯახის როლი ამით არ სწყდება, ამიერითგან მატულობს სახელმწიფოს როლი. სახელმწიფომ ყოველნაირი საშუალებებით: სათანადო საბავშო ლიტერატურის ციკლის შექმნით, სპეციალური სინემა-თეატრებით, ექსკურსიებით საქართველოს შესანიშნავ ადგილებში, წარსულის მომხიბლავ საგმირო ამბავთა მხატვრული იდეალიზაციით და სხ. ბავშში სამშობლოს სიყვარული რელიგიურ პათოსამდე უნდა განავითაროს.

ბავშის აღზრდა, ყოველმხრივ, ობიექტის ეროვნულ დამახასიათებელ თავისებურებათა მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს. მასალის შერჩევა მისი სულიერ და ფიზიოლოგიურ კონსტიტუციასთან უნდა იყოს შეგუებული.

2. **სულიერი და მორალური აღზრდა.** მაღალი ზნეობით და მდიდარი სულით, ქართველი ერი, ისტორიულმა უბედურებებმა ძალზედ დააკნინა. მრავალ თაობათა აღზრდის საშუალებით ჩვენ უნდა აღვადგინოთ ქართველში ის სულიერი ღირსებები, რომელიც მას გააჩნდა. ის მაღალი ზნეობა, რომელმაც ორ დიდ ცივილიზაციის მეტოქეობაში ქართულ სინამდვილეზედ თავისებური სახე მიიღო. ამაყი, უდრეკი, შეუპოვარი; ლმობიერი, ქველი, მოსიყვარულე, ლაღი, აი, ხასიათები ჩვენი სულისა. ზნეობა შედარებითი ცნებაა, და ქართველი ერისთვის ზნეობის გამოსავალი წერტილი ყოველთვის ერისა და ქვეყნის ბედნიერებასთან იყო დაკავშირებული. ისტორიულად ჩვენს სულსა და ზნეობაში შთანერგილი გავლენები: სპარსთა, თურქთა, რუსების და სხ. აღზრდის საშუალებით ნელ-ნელა უნდა განიწმინდოს და ქართველ ერს უნდა დაუბრუნდეს თავისი სულიერი და ზნეობრივი ფიზიონომია.

3. **ესთეტიური აღზრდა.** ქართველი ბუნებით ოპტიმისტი, სიცოცხლის მოტრფიალე, მშვენიერების გამაღმერთებელია. ქართველმა ერმა თავისი არსებობის მრავალი საუკუნეების განმავლობაში დაამტკიცა უდაოდ მისი მაღალი ესტეტიური კულტურა. მან ხელოვნების ყველა დარგში მაღალი ნიჭი გამოიჩინა. „ვეფხის ტყაოსნითგან“ დაწყებული „ლეკურითა“ და „მრავალჟამიერით“ გათავებული, ქართველმა ერმა ესთეთიკის ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, სადამდისაც ჯერ ძალიან ცოტა ერები მისულან. ამ სფეროშიც, გარეშე მტრებმა ჩვენი საკუთარი ესტეტიური ცხოვრება, მისი შემეცნება, მისი დაფასების უნარი დაამახინჯეს. აღზრდის საშუალებით ჩვენ უნდა შევსძლოთ ქართველში აღვზარდოთ უმაღლესი ესთეტი. ეს ადვილია. ქართველი საამისო ნიჭით დაჯილდოებულია, მხოლოდ ჩვენი ბუნებით მდიდარი და კეკლუცი სამშობლო, ჩვენი შეუდარებელი სიმღერები, ჩვენი მრავალფეროვანი ისტორია და ჩვენი შესანიშნავი ტრადიციები უნდა გამოვიყენოთ. და ასე ამგვარად ქართველ ბავშში ქართული სული და გემოვნება ქართულად უნდა აღვზარდოთ.

4. **ფიზიკური აღზრდა.** ჩვენში ისტორიულადვე სხეულის ფიზიკური ვარჯიშობა-განვითარება კარგად იყო დაყენებული. ჯირითობა, ცხენოსნობა და სხვა ტრადიციული თამაშობებით. რუსეთის ერთი საუკუნის ბატონობამ მოსპო ტრადიციები, მოსპო ძველი—ახალი ვერ შექმნა. დღეს ახალი ცხოვრება ამ სფეროშიც ახალ საშუალებებს გვაწვდის. დღეს მთელი მსოფლიო გატაცებულია სპორტით. ის ევროპაში კულტად არის ქცეული. ჩვენც მას დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. ქართველი ბავში ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს, რათგან გვწამს, რომ ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეიძლება მოთავსდეს.

ამგვარად; ეროვნული, სულიერი, ზნეობრივი, ესტეტიური და ფიზიკური აღზრდა იქმნება ქვაკუთხედი ეროვნული სკოლის, ყველა ესენი კი შეზავდებიან ჰარმონიულად.

5. **განათლება.** განათლების საქმე მთლიანად სახელმწიფოს ინტერესებითგან უნდა გამომდინარეობდეს. ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებით უნდა განისაზღვროს ოდენობა და შინაარსი საგანმანათლებლო დაწესებულებათა.

ერთი მთლიანი სახალხო განათლების სისტემა. ყველასათვის სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა. გამრავლება საშუალო სპეციალური სასწავლებლების, და მათში უფასო სწავლის შემოღება. ქართულ უნივერსიტეტში უმთავრესად ნიჭიერ ახალგაზრდობის მიღება და ღარიბთათვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა. პროვინციალური ცხოვრების აყვავებისათვის, ყოველ პროვინციალურ ცენტრში ადგილობრივი სამეურნეო ხასიათის და მიხედვით სპეციალური უმაღლესი სკოლების დაარსება. ადგილობრივ შექმნა ხელსაყრელი საარსებო პირობების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. შერჩევა შესაფერისად მომზადებული და ზნეობრივად დამაკმაყოფილებელი პედაგოგიური პერსონალისა. სკოლები უნდა გაიწმინდოს გარეშე პროფესიათა და სკოლი-

სათვის სრულიად უცხო ელემენტევისაგან. პედაგოგიური პერსონალი ნივთიერად და ზნეობრივად უნდა მოქცეული იყოს მაღალ კვალიფიკაციაში. მასალები, სახელმძღვანელოები და საერთო განვითარების სპეციალური სერიები უნდა იქმნეს შედგენილი, გაწვრთნილ და გამოცდილ პედაგოგების მიერ და სათანდო უმაღლესი კომისიის შემოწმების შემდეგ სახელმწიფო კისრულობდეს მის გამოცემას. ორგინალურთან ერთად, უნდა ხდებოდეს მსოფლიო ხელოვნებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ყველა კლასიკოსთა და ახალ მიღწევათა თარგმნა და გამოცემა.

VII.

ეროვნული კეთილმოწყობა. ჰიგიენა.

1. **მიმოსვლა - მელიორაცია.** ბუნებით მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანა, გეოგრაფიულად მიუვალ და არა ხელსაყრელი პირობების გამო ვერ ვითარდება. საქართველოში უნდა გაფართოებულ იქმნეს რკინის გზების ქსელი. ქვა-ნახშირის, ელექტრო-ენერგიის და სხვა ძალთა სიუხვე ნებას მოგვცემს ეს დარგი მაქსიმალურად გავაძლიეროთ, ხოლო მეურნეობის გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს, მათ ღირსეულ ექსპლოატაციისა. მოძრავი და ინტენსიური მოქმედების ცენტრები უნდა გადაყვანილ იქმნას ელექტრო მიმოსვლაზედ ყველა პროვინცია ურთი-ერთ უნდა დაუკავშირდეს რკინის გზით. ეს მოვლენა, დიდად ხელს შეუწყობს ეთნიურ ერთეულთა დაახლოებას და სოლიდარობის გრძნობათა განვითარებას. ყოველ სოფელთა შორის უნდა გაყვანილ იქმნას გზატკეცილები. აგებულ იქმნას ხიდები და ჯებირები ყველა მნიშვნელოვან და მაზიანებელ პუნქტებში დიდ მდინარეთა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჭაობების დაშრობას და სხ. გამოუყენებელ ადგილების გაუმჯობესებას.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს აგრეთვე მელიორაციის საქმეზედ. მელიორაციას შეუძლია ჩვენი მეურნეობის ნაყოფიერება ერთი ორად გაზარდოს. უნდა გაყვანილ იქმნეს ფართო მაშტაბის სარწყავი არხები (ნაშთები მოწმობენ, რომ საშუალო საუკუნეებში საქართველო დასერილი იყო უამრავი არხებით) ჩვენი გეოგრაფიული პირობები აადვილებენ ხშირად მთელ მდინარეთა კალაპოტის გამოცვლას ამით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ და მთელი საქართველოს ტერიტორია სარწყავ მინდვრად ვაქციოთ.

2. **ქალაქები - სოფლები.** საქართველოში ტენდენციაა სატახტო ქალაქის ზრდის. იქ ხდება ლტოლვა ყველა პროვინციებითგან, განსაკუთრებით სამხრეთითგან და დასავლეთითგან ეს იმ დროს, როდესაც სამცხე ქართველობითგან ცალიერდება და დასავლეთში მაგ. ქუთაისი, ერთ დროს ქართული ენის და შემოქმედების საუკეთესო ცენტრი, მიძინებულ სასაფლაოდ იქცა. დღეს საქართველოში აღარც ერთ პროვინციაში აღარ არის დარჩენილი რაიმე ღირებულებანი, სიცოცხლე. ისე როგორც მაგალითად მთელი საფრანგეთის ბედს პარიზი სწყვეტს, მოსალოდნელია ჩვენში ასეთად ტფილისი გადაიქცეს. ამიტომ ყოველნაირი შემთხვევისათვის საჭიროა კულტურული დეცენტრალიზაცია. ამისთვის კი უნდა აიკრძალოს ტფილისის უსაზღვრო ზრდა, დღეს ის თითქმის ერის მოსახლეობის $^1/_5$-ს იტევს. რაც იშვიათია სხვა ქვეყნის სატახტო ქალაქების მიმართ. ტფილისი უნდა განახლდეს, გალამაზდეს, გაძლიერდეს, მხოლოდ არაფერ შემთხვევაში არ უნდა იქმნეს გაფართოვებული. სამაგიეროდ უნდა აშენებულ და გაძლიერებულ იქმნენ წვრილი ქალაქები და ცენტრები. მთავარი ცენტრი ტფილისი იქმნება, მხოლოდ ყოველ მნიშვნელოვან პროვინციას თავისი შესაფერი ცენტრიც უნდა ჰქონდეს, რომელიც თავისი კულტურული და სამეურნეო ცხოვრებით ტფილისს არ უნდა ჩამოუვარდეს ინტენსივობაში.

საქართველოს არსებობის გზაზედ ამ ფაქტორმა ისტორიულადაც დიდი როლი ითამაშა. სატახტო ქალაქის განახლებით არ უნდა შეილახოს სიძველენი, პირიქით, იქაც და სხვაგანაც ისინი უნდა შეკეთებულ და დაცულ იქმნენ. ქუჩების გაფართოვება, განახლებული ქართული სტილის შენობების გამრავლება, ხიდები, ქვაფენილები, ბაღები, კანალიზაცია, ქალაქებში ბუნებრივ წყალსადენების გამოყვანა, ტელეფონისა და მიმოსვლის ტეხნიკის უახლოეს მიღწევათა მიხედვით მოწყობა და სხ. იქმნება საგანი ქალაქის კეთილმოწყობისა. სატახტო ქალაქში უცხოელთა რიცხვი მაქსიმალურად უნდა შემცირებულ იქმნეს.

განსაკუთრებულ პირობებშია დღეს ზოგიერთ პროვინციებში ქართული სოფელი. ის ჯერ კიდევ პრიმიტიული მდგომარეობითგან არ გამოსულა. ბინები ნესტიანი, უჰაერო, უმზეო, გზები ვიწრო და ჭუჭყიანი და სხ. სახელმწიფომ ადგილობრივი თვითმართველობების საშუალებით უნდა მიიღოს ზომები სოფლის მოწყობისათვის. ქართული სოფელი უნდა გამოვიდეს პრიმიტიული ყოფითგან, ისიც უნდა ეზიაროს ცივილიზაციის მიღწევებს, ისიც უნდა გამოვიდეს სუფთა ჰაერზედ.

3. **კლინიკები - საავადმყოფოები.** საქართველო უნდა მოფენილ იქმნეს სპეციალური საავადმყოფებით. მათთან სათანადო საექიმო კადრებით. აფთიაქები. ღარიბ მოსახლეობასა და მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა საშუალება მიეცეს უფასო მკურნალობის. სათანადო საკურორტო პუნქტებში უნდა მოეწყოს ტუბერკულოზის და სხვა მძიმე სნეულებათა დისპანსერები, სადაც თავმოყრილი იქნებიან საუკეთესო სპეციალისტები. ყველა მათ მუშაობას კი კონტროლს გაუწევს მედიკური ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭო. ყველა ეს არის აუცილებელი, მაგრამ მთავარი ის არის, სახელმწიფომ შექმნას ისეთი ჰიგიენური თავდაცვის სისტემა, რომ თვით ავადმყოფობა იქმნეს თავითგან აცილებული. პირველი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მოქალაქეთა ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა.

4. **კურორტი - დასასვენებელი ბინები.** საქართველო, ვითარცა საკურორტო ქვეყანა, მსოფლიოზედ ცნობილია. და რატომ ქართველმა მშრომელმა ადამიანმა არ უნდა ისარგებლოს მით?! რატომ არ უნდა შევინარჩუნოდ ჯანმრთელობა, მისი კარგი ჰაერის სარგებლობით?!

საქართველოში ვერც ერთ ათ კილომეტრს ვერ გაივლის კაცი, რომ შესანიშნავი ბუნების პეიზაჟები არ დახვდეს. აბასტუმანი—ბორჯომი და ტფილისი თავიანთი მრავალნაირი სამკურნალო წყლებით; ბახმარო, წაღვერი შესანიშნავი ჰაერით; აგრეთვე სვანეთის და სხ. მთების ჯერ მიუგნებელი და გამოუყენებელი ადგილები და სამკურნალო წყაროები უნდა იქცენ შესწავლის, დამუშავების და გამოყენების საგნათ ჩვენი სამედიცინო და საჰიგიენო უწყებებისა.

ყველა სააგარაკო ადგილებზედ უნდა მოეწყოს სპეციალური დასასვენებელი ბინები: მოსწავლეთათვის, ქარხნის მუშებისათვის, მიწის მეურნეთათვის, მხედართათვის და გონებრივ მუშაკთათვის. იქვე უნდა შეიქმნას სათანადო ბიბლიოთეკები, სათამაშოები და გასართობები.

VIII.

ჩვენი საორიენტაციო პრობლემა.

შეუძლებლად მიგვაჩნია ამ საკითხის აქ განვითარება; დავკმაყოფილდებით დებულებებით.

1. ისტორიულადვე ქართველი ერის მთავარი მისწრაფება იყო მისი სრული დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნება. ამისთვის იბრძვის ის 3000 წლის განმავლობაში. და მის სტიქიაში ეს მისწრაფება დღესაც მისი არსებობის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს.

2. ორ დაბყრობილთა შორის ქართველი ერი ყოველთვის ისეთ მათგანის ორიენტაციას არჩევდა, რომლითაც პირველის მოგერიების შემდეგ ადვილი იყო თავის განთავისუფლება.

3. ეს იყო ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი ჩვენი საორიენტაციო პრობლემის. დაწყებული, ჩვენთვის უცნობი დროის, ასურ-ბაბილონის მეტოქეობის, შემდეგ სპარსეთ-რომის (მერე ბიზანტიის), თურქ - არაბთა და ევროპის, და ბოლოს სპარსეთ - ოსმალეთის ქიშპობათა წყვდიადში ქართველთა ურთიერთობის პრინციპი ყოველთვის ნათელი იყო. ეს იყო უმთავრესად პოლიტიკურად.

4. საზოგადოდ კი საქართველო მოქცეული იყო წინა აზიის სამყაროს ორბიტში, და ეკონომიურად და კულტურულად მასთან დაკავშირებული.

5. მე-15 საუკუნითგან ქართული ოფიციალური პოლიტიკა იცვლის ორიენტაციას. სპარსეთ - ოსმალეთთან მუდმივ ბრძოლაში დაღლილი, ფსიქოლოგიურად გაბრუებული და ნაწილობრივ სარწმუნოებრივი ფაქტორით გამაგრებული, ის ირჩევს ჩრდილოეთით რუსეთის ორიენტაციას.

6. ამ მცდარი ორიენტაციის მსხვერპლი დღეს ყველასათვის ცნობილია.

7. 1918 წ. ახლად განთავისუფლებულ საქართველოს დიდი ხნით აღმოსავლეთისაგან მოწყვეტილს, და დღეს მისი დიდების დაცემის გამო, ის შეუმჩნეველი რჩება. ქართული ორიენტაცია მიიმართება ევროპისაკენ.

8. ისტორიულადვე ევროპის ორიენტაცია რეალობას მოკლებული იყო. თანამედროვე ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკითგან საქართველოს საკითხი გარიყული დარჩა. მისთვის ის ფაქტორი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, რომელიც ჩვენი თავისუფლების შემუსვრას ემსახურებოდა. ამიტომ ჩვენი საკითხი, თუ სადმე იელვებს ხოლმე, ის ხორცშეუსხმელი, რჩება მხოლოდ წარმავალ შემთხვევათა და პირობათა წყალობად.

9. ეს დამტკიცდა 1918 წ. გერმანული ორიენტაციით. შეიცვალენ იქ პირობები და გაქრა საქართველოს საკითხი. საქართველოს ცაზედ ამოსული მზე უკვე ბრესტლიტოვსკის ზავით ბნელდება და ვილგელმის ძლევამოსილმა ხელმა ის გაჰფანტა. ხოლო გერმანიის რევოლიუციის მეორე დღეს დაეცა არსებითად საქართველოს დამოუკიდებლობა, რათგან მას დასაყრდნობი აღარსად ჰქონდა.

10. ასეთია წარსული. ჯერ მსოფლიოში ისეთ დიდ ცვლილებებს ჩვენი საკითხის მიმართ ვერა ვხედავთ, რომ ვიფიქროთ სხვაგვარად. ისტორია ისევ ძალაში რჩება. მისი ძირითადი გზა უცვლელია.

11. საქართველოს, განთავისუფლების ჟამს, უსათუოდ კვლავ შეხვდება ცდა ევროპიული ორიენტაციის. მაგრამ ჩვენ უფრო მისი წარმავალობა გვწამს, ამიტომ ქართული დიპლომატია თუ ამ კონცეპციას მიიღებს სახელმძღვანელოდ, შექმნილ მდგომარეობასაც გამოიყენებს, და ხვალ, მდგომარეობის შეცვლის შემდეგაც, ის შესძლებს უევროპოდ თავისუფლების გაგრძელებას.

12. **როგორც ყოველთვის, დღესაც საქართველო თავის საკუთარ ძალას უნდა დაემყაროს; ვინაიდგან დღეს ჩვენი თავისუფლების საკითხი რუსეთის იმპერიის დანგრევასთან არის დაკავშირებული, ამიტომ, ცხადია, ჩვენ გამოვიყენებთ მეგობრობას ყველა იმ ძალებთან, რომელნიც მისი შემუსვრისათვის ხელს აღიმაღლებენ.**

ხოლო უნდა ვიცოდეთ: რომ წინათაც და ახლაც, ქართველი ერის საერთაშორისო ოჯახში მშვიდობიანი არსებობისათვის, იყო და ახლაც საჭიროა ჩვენს ახლო მეზობელ კავკასიის ერებთან ერთად გამოვიდეთ როგორც განმანთავისუფლებელ ისე თავდაცვით ბრძოლაში, ერთად დარაზმული, ერთი საერთო მეთაურობის ხელმძღვანელობით.

საჭიროა აგრეთვე სპარსეთ - ოსმალეთთან და ბალკანეთის ხალხებთანაც ახლო ურთი - ერთობის დამყარება. თავისუფალი საქართველო, გამაგრებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობით, არის ჩვენი თავისუფლების უფრო რეალური პირობა, ვიდრე სოციალისტური ინტერნაციონალების კარების კაკუნი და დიდ სახელმწიფოთა ინტერვენციაზედ მარად ჟამს ოცნება.

ალ. მანველიშვილი.

ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნი.

გამოვიდა ბ. **ს. ფირცხალავას** წიგნაკი **„ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“**. გვ. 68. დ ხელაძის გამოცემა. წიგნაკი შეიცავს საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობათა მიმოხილვას. შეიძლება ზოგიერთ მოვლენათა დაფასებაში არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს, მაგრამ ეს მაინც ღირსებას არ ართმევს ამ მშვენიერად დაწერილს წიგნაკს. ავტორი უდიდეს დაკვირვებასა და ლაკონიურად, მაგრამ მოხდენილი ანალიზით, მშვენიერ სურათს იძლევა საერთაშორისო ვითარების. განსაკუთრებით საქართველოს საკითხებზედ, ყველგან საკითხის ღრმა ცოდნასა და სინამდვილეს ემყარება. წიგნაკი დაწერილია სიყვარულითა, და სამშობლოსადმი სამსახურის მაღალი გრძნობით. აი, რატომ არის საჭირო რომ ის ყოველ ქართველმა წაიკითხოს.

გამოვიდა ბ. **გ. გვაზავას** მიერ თარგმნილი ესხილის **„მიჯაჭვული პრომეთე“**. ეს მესამე წიგნია ბ. გვაზავა რომ სთარგმნის აქ უცხოსაკუთარის გამდიდრება, ყოველთვის ახასიაეთში. თარგმნა უცხოეთის ლიტერატურის და თებს კულტუროსან ერებს, კარძოდ საქართველოს უდიდეს ტრადიციაც აქვს. და ამ მხრივ ბ. გვაზავას მუშაობა ფრიად დასაფასებელია.

ჩ. ა. შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ქართველი ეროვნული მოღვაწე, ომის წინ ევროპაში არსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ენერგიულად მომქმედი წევრი

გიორგი მაჩაბელი

თეთრი გიორგი ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას მებრძოლი პატრიოტის უდროოდ გარდაცვალებას.

ქ რ ო ნ ი კ ა.

წარმოდგენა

მოკლე ხანში, პარიზში, ქართული დრამატიული დასის მიერ, ბ. **შ. ნებიერიძის** ხელმძღვანელობით დაიდგმება: 1) **რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!** კომედია 3 მოქმედებად, აქ. ცაგარლისა; 2) **შეშლილნი**, ორ მოქმედებიანი დრამა ტრ. რამიშვილისა.

სამოქალაქო პანაშვიდი

კვირას, 7 აპრილს, პარიზში გადახდილ იქმნა სამოქალაქო პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ **გიორგი მაჩაბლის** ხსოვნის აღსანიშნავად. პანაშვიდზე სიტყვები წარმოსთქვეს: ბ.ბ. ზ. ავალიშვილმა, შ. ამირეჯიბმა, გ. კერესელიძემ და სპ. კედიამ

ვეფხის-ტყაოსნის ახალი ხელნაწერის აღმოჩენა.

ბ. გ. ლეონიძემ ლენინგრადში, ვორონცოვის კერძო არქივში აღმოაჩინა ვეფხის-ტყაოსნის ახალი ხელნაწერი, რომლის შესწავლაც ხდება ტფილისის უნივერსიტეტთან არსებულ რუსთაველის ინსტიტუტში. ბ. გ. ლეონიძე იძლევა შემდეგ წინასწარ ცნობებს:

ეს ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 1661 წელს. რომელიც შემკულია ოქროს მელნის ვარაყებით, და დასურათებულია სპარსულ მხატვრობით. ის ეკუთვნოდა პირველად სარდალ-სახლთუხუცესს ზაზა ციციშვილს. მერე ის გადასულა ლევან ბატონიშვილის (ვახტანგ VI-ის მამის) ხელში. მისგან გადასულა ვახტან VI-ის ხელში. აქეთგან ალბად ის გაყვა ვახტანგის ასულს თამარს, მეფე ერეკლე II-ის დედას. ხოლო ერეკლეს ოჯახში რგებია მის ქალს თეკლა ბატონიშვილს. ხოლო შემდეგ თეკლას უფროს შვილს ალ. ორბელიანს ის უჩუქებია ვორონცოვისათვის. ვორონცოვს ის შეუნახავს ოდესაში და მერე ლენინგრადში.

ამ ხელნაწერის ღირებულებაზედ წინასწარ ბევრი რამის თქმა ძნელია. ის კი საინტერესოა, რომ 1712 წელს ვეფხის-ტყაოსნის პირველ გამომცემელს მეფე ვახტანგს IV-ეს ეს ხელნაწერიც ხელში ჰქონია სახელმძღვანელოდ. ამიტომ ამის შესწავლით ე. წ. ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსნის რედაქციის საკითხს, ალბად შუქი მოეფინება, რომელიც თავის მხრივ უთუოდ ბევრ აქამდე სადაო საკითხების გარკვევის საშუალებასაც მისცემს მკვლევართ.

მოხსენებები

24 მარტს, პარიზში ბ. **ალ. შათირიშვილმა** წაიკითხა მოხსენება: **„ენა როგორც საზოგადოების მთლიანობის ფაქტორი“**. მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

30 მარტს, მოხსენება წაიკითხა ბ. **ალ. ასათიანმა — „ქართველი ერი და მისი ემიგრაცია“**. დაესწრო დიდძალი საზოგადოება და შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ მოხსენების ზოგიერთ კითხვებზედ ჩვენი პასუხი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ფული და წერილები უნდა გადმოიგზავნოს
შემდეგი მისამართით :

M. Sekniachvili. 142. Bd de Grenelle
Paris 15.

Le Gérant: **G. F. Bessonies.**

Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins, Paris XIII^e.